პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 87
(11 748)

11 – 13 ნოემბერი, 2003 წ.
ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თქვენ რას ფიქრობთ? გამოხმაურება

„...თუ გამორჩევით მქმნელია“ მე ასე ვფიქრობ...

გულდასმით გავეცანი „ლელოს“ 85-ე ნომერში გამოქვეყნებულ, მე ვიტყოდი, დროულ პუბლიკაციას „... თუ გამორჩევით მქმნელია“, რუბრიკით „თქვენ რას ფიქრობთ?“

სპორტის მოყვარულები ალბათ, პირობითად, ჩემი აზრით, ორ კატეგორიად უნდა დაიყოს. ერთნი სპორტის კონკრეტულ სახეობას რომ ქომაგობენ თავგამოდებით და მეორენი — ზოგადად ქართულ სპორტს რომ გულშემატკივრობენ. მე პირველთა ამქარში ვარ, და ფეხბურთს ვადიდებ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ფეხბურთს უნდა მოხმარდეს მთლიანად თუ არა, ბიუჯეტის ლომის წილი მაინც. ეს არ იქნებოდა სამართლიანი. მაგრამ, ამასთან, კარგად მესმის, რომ 100-მდე სპორტის ფედერაციაზე თანხის თანაბრად განაწილება ყველაზე იოლი გამოსავალია. მაგრამ ეს უკვე სპორტში პოლიტიკა აღარ არის, რასაც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ქმნის და განაგებს, მთელ ქართულ სპორტულ სამყაროსთან ერთად. მაშ რა ვქნათ? პირადად მე იქით ვიხრები, რომ მეტი ყურადღება და მეტი დაფინანსება ესაჭიროება სპორტის იმ სახეობას, რომლის რეალური წარმატების კონტურები იკვეთება საერთაშორისო სარბიელზე. დღეს ეს შეიძლება იყოს სპორტის ერთი ან რამდენიმე სახეობა, ხვალ სხვა. აი, ამას უნდა გაეწიოს ანგარიში.

ზვიად ბეჟუაშვილი, თბილისი.

ნომერშია:

- „ლელო“ და ლელოელები
- ფიასკო თურქეთში, გასეირნების შემდეგ
- ეროვნული ფეხბურთი
- ბორის ჭელიძე და კოსმონავტი ერთ გუნდში
- ქართველები ევროპის სტადიონებზე ბობოქრობენ
- კასპაროვი და კომპიუტერი

- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი



საქართველოს
XV ეროვნული
ჩემპიონატი
ფეხბურთში
XVI ტური
უმაღლესი ლიგა
3

„დინამო“ (თბ) – „ლოკომოტივი“
ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში სპორტის განვითარებასა და მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადებისა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ზუგდიდის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი **რევაზ ჩიხლაძე** დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

მილოცვები

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და კრივის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავენ ამავე ფედერაციის გენერალურ მდივანს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს **ზურაб კიკნაველიძეს**.

* * *

ჩვენი კოლეგა იუბილარია



კულტურას, ისევე, როგორც სპორტს და სხვა სფეროს, მუდამ ჰყავს თავისი პირუთვნელი მემატიანე. კულტურაში ასეთია ჩვენი კოლეგა და „ლელოს“ სტაჟიანი მეგობარი, ნიჭიერი შემოქმედი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კულტურის განყოფილების მთავარი რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი, რომელსაც ამ დღეებში დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. ვამაყობთ, რომ მისმა კალამმა, ჩვეული ობიექტურობით, კულტურის ნაწილად აქცია თავის შემოქმედებაში ქართული სპორტი.

მაშ, როდისაა თუ არა 60 წლის ასაკში, ასეთ კაცს ვუწოდოთ მოძღვარი. ვილენ მარდალეიშვილი ამას თავისი კაცობით და ზნეკეთილობით იმსახურებს. ახალგაზრდა კოლეგებისთვის ის ჭეშმარიტი მოძღვარია.

შენი საყვარელი ქართული სპორტული სამყარო, მხურვალედ გიკრავს გულში ფიზიკურად და სულიერად ლამაზო, ალალო კაცო, ჩვენო „ლომო“!

„ლელოს“ რედაქცია

OLYMPIELI ოლიმპიელი

CITIUS, ALTIUS, FORTIUS

რაც დრო გადის, სულ უფრო დახვეწილი, შთამბეჭდავი და გემოვნებიანი ხდება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პერიოდული ფერადი გამოცემა ჟურნალი „ოლიმპიელი“ და ეს ითქმის, როგორც გამოცემის გარეგნულ იერზე, ისე შინაარსობრივად. ჟურნალის წლევანდელი ახალი ნომრის გამოცემა (№ 2-4) საქართველოში ოლიმპიურ ფესტივალს და მის დამაგვირგვინებელ დიდ საზეიმო ღონისძიებას დაემთხვა.

ჟურნალში წარმოდგენილი მასალების ერთიანი დევიზი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: „ჩვენ და მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობა“. სხვაგვარად არც შეიძლება, ჩვენ ხომ პლანეტაზე ოლიმპიზმის იდეების გამტარებელ ყველაზე მოწინავე ქვეყნების სათვალავში ვართ.

„ჟურნალის“ ეს ნომერიც უხვადაა ილუსტრირებული ჩვენი ათლეტების წარმატებების ამსახველი ყველაზე შთამბეჭდავი კადრებით.

აქვე გთავაზობთ „ოლიმპიელის“ სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის, სეოკ-ის გენერალური მდივნის ემზარ ზენაიშვილის მოწინავე სტატიას, რომელშიაც არა მხოლოდ სეოკ-ის და ამ გამოცემის, არამედ ჩვენი საერთო სულისკვეთებაა გადმოცემული.

სიტყვა ჯერ არ მოპოვებულ, მაგრამ უსათუოდ მოსაპოვებელ ოქროზე

ბოლო წლებში მონატრებულ მსოფლიოს ჩემპიონებს სპორტის რამდენიმე სახეობაში მართალია კვლავ ველირსეთ, მაგრამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინც გვრჩება — ოქროს ველოდით ჯერ ატლანტის, შემდეგ კი სიდნეის ოლიმპიური თამაშებიდან, საიდანაც ექვსი ბრინჯაოს მედლით დავბრუნდით.

ახლა ჯერი ათენზე მიდგა. იმედიც მეტია, რადგან ოპტიმიზმის საფუძველი ჩანს — ათენის ციკლის პირველი სამი წლის მოსამზადებელი პერიოდის პირობები დაახლოებით ორჯერ უკეთესია, ვიდრე ეს სიდნეის ოთხწლეულში იყო. მაგალითად, ჩვენი გამოთვლით, 2001-2003 წლებში ქართველ სპორტსმენთა და მწვრთნელთა სოციალურ დაცვაზე გაცილებით მეტი თანხა დაიხარჯა, ვიდრე 1994-2000 წლებში ერთად აღებული.

ვფიქრობთ, რომ ათენში 201 ქვეყნის 10500 სპორტსმენს შორის რეალურად 30-მდე ათლეტი თუ გვეყოლება. ეს ნაკლებია, ვიდრე ატლანტასა და სიდნეიში იყო.

რაოდენობა სულაც არ არის თვითმიზანი. თუმცა, მეორე მხრივ, სპორტის სახეობათა გეოგრაფია და მონაწილეთა რაოდენობა ხომ მნიშვნელონად განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყანაში სპორტის დონეს. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვება თავისთავად სპორტული დონის მაღალი მაჩვენებელია. ეგეც რომ არ იყოს, დიდი რაოდენობიდან ხარისხში გადასვლის მეტი შანსიცაა...

ასეა თუ ისე, ამჯერად ოლიმპიური თამაშებისთვის მეტი და უკეთესი სპორტსმენი არ გვყავს. მეტიც — პეკინში უფრო ცოტანი ვიქნებით და

იხ. მე-2 გვ.

მსოფლიო თასზე...

ავსტრალიაში მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშებაზე რაგბში მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. მოულოდნელი შედეგები არ ყოფილა, თუმცა გულშემატკივარმა ლამაზი სანახაობა იხილა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მატჩი ინგლისისა და უელსის ნაკრებებს შორის.

პირველივე წუთებიდან უელსელმა მორაგბეებმა მძაფრი ბრძოლა გაუმართეს ძლიერ მეტოქეს. პირველ ტაიმში მათ პირდაპირ შოკში ჩააგდეს ინგლისელები, — შესვენებაზე 7 ქულიანი უპირატესობით გავიდნენ — 3:10.

მეორე ნახევარში ინგლისის ნაკრებმა გამოასწორა თამაში, — ჯეისონ რობინსონის, ვილ გრინვუდისა და ვილკინსონის აქტიურობის შედეგად შეძლო არა მხოლოდ ანგარიშის გათანაბრება, არამედ საბოლოო გამარჯვების მოპოვებაც — 28:17.

ახალზელანდიელმა მორაგბეებმა აშკარად დაჯაბნეს სამხრეთ აფრიკის ნაკრები 29:9. ნახევარფინალში გავიდნენ ტურნირის მასპინძლები, რომლებმაც 33:16 სძლიეს შოტლანდიის ნაკრებს. ფრანგებმა კი ირლანდიელებს აჯობეს — 43:21.

15 ნოემბერს შედგება პირველი ნახევარფინალური მატჩი ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის ნაკრებებს შორის. ხოლო მეორე დღეს ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან საფრანგეთისა და ინგლისის ნაკრები გუნდები. ამ უკანასკნელთა შეხვედრა საყოველთაო ინტერესს იწვევს. აქვე გეტყვით, რომ ფინალური მატჩი 22 ნოემბერს სიდნეიში გაიმართება.

სტადიონზე ბომბი აღმოაჩინეს

ტურინში მშენებარე ცხენოსნობის ოლიმპიურ სტადიონზე აღმოაჩინეს მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ბომბი. ქალაქის ადმინისტრაცია აწარმოებს საშიში „ტვირთის“ გადაზიდვას უსაფრთხო ადგილზე. აქვე იმასაც გეტყვით, რომ აღნიშნული სტადიონი მწყობრში ჩადგება 2005 წლის იანვარში და უმასპინძლებს მსოფლიო ჩემპიონატს საცხენოსნო სპორტში.

I წრე დასრულდა



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

რუსთავში ადგილობრივი გუნდისა და თბილისის „მაქაბის“, ხოლო ბათუმში „ბასკოსა“ და „სტუ ჯეოსელის“ შეხვედრებით წერტილი დაესვა ეროვნული ჩემპიონატის I წრის შეხვედრებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა მატჩი ბათუმში. გამარჯვების შემთხვევაში „ბასკო“ ეწეოდა ლიდერს თბილისის „დინამოს“ და დებულების შესაბამისად, ცხრილის სათავეში მოექცეოდა. ასეც მოხდა. თუმცა მატჩი იოლი სულაც არ იყო. ორივე მეტოქე ძლიერია და ყველაფერი იყო მოსალოდნელი. მასპინძლებს თავიდან გაუჭირდათ, მაგრამ მერე იპოვეს თავიანთი თამაში და ბოლო მეოთხედში განსაკუთრებული აქტიურობით მიაღწიეს სასურველ შედეგს. შეხვედრა მოიგეს 89:80 (19:16, 23:24; 17:21; 30:19). ფაქტობრივად, ამ მატჩმა გადაწყვიტა ლიდერთა სამეულის ბედი.

რუსთაველებმა თავიდან ადვილად ვერ „მოუძებნეს გასაღები“ მეტოქეს, რაც შედეგშიც აისახა, პირველი მეოთხედი დასრულდა 22:21, მეორე მასპინძლებმა დათმეს 19:24; მესამე და მეოთხე პერიოდები კი უკვე რუსთაველებისა იყო — 29:19 და 26:19, საბოლოოდ — 96:83.

ჩემპიონატი განახლდება 13 ნოემბერს. ამ დღეს, 15 საათზე, „ქუთაისი“ უმასპინძლებს, „სტუ ჯეოსელს“, სსუ „ბასკოს“ (17.00). **II წრის სრული კალენდარი ასეთია: 14-X1:** თსუ — „ბასკო“ (15.00), „ქუთაისი“ — „რუსთავი“ (17.00); **18X1:** „მაქაბი“ — „დინამო“ (15.00), „ქუთაისი“ — სსუ (17.00), „ბასკო“ — „რუსთავი“ (17.00); **19-XI:** „ქუთაისი“ — თსუ (15.00), სტუ-სსუ (17.00); **24-XI:** სსუ — თსუ (15.00), „რუსთავი“ — „დინამო“ (17.00); **25-XI**: სტუ — თსუ (15.00), „ბასკო“ — „მაქაბი“ (17.00). **28.XI**: სსუ — „მაქაბი“, „დინამო“ — „ქუთაისი“ (17.00), „რუსთავი“ — თსუ (17.00); **29-X1:** „დინამო“ — სტუ (15.00), „მაქაბი“ — „ქუთაისი“ (17.00), **3-XII:** „დინამო“ — თსუ (15.00), „მაქაბი — სტუ (17.00), „რუსთავი“ — სსუ (17.00); **4-XII:** „მაქაბი“ — თსუ (15.00), „დინამო“ — სსუ, „ბასკო“ — „ქუთაისი“, „რუსთავი“ — სტუ (სამივე — 17.00); **9-XII:** სტუ — „ბასკო“ (15.00), „მაქაბი“ — „რუსთავი“ (17.00); 14-XII: „ბასკო“ — „დინამო“ (17-00).

ირაკლი სარალიძე

ყურადღება!

ძვირფასო მკითხველო! – დაიწყო ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე 2004 წლის პირველი ნახევრისათვის.

„ლელოს“ გამოწერა შეგიძლიათ „საქპრესის“ ნებისმიერ საქალაქო და რაიონულ განყოფილებაში, „მაცნეს“ ოფისებში და რედაქციაში (კოსტავას, 14. ტელ: 99.56.14).

ATHENS 2004

ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე 281 დღე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 4 თვე გვაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

სიტყვა ჯერ არ მოპოვებულ, მაგრამ უსათუოდ მოსაპოვებელ ოქროზე

პირველი გვერდიდან

ეს ტენდენცია გაგრძელდება მანამ, სანამ სპორტისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება არ შეიცვლება და სანამ საზოგადოება ერისა და ქვეყნის გაჯანსაღების პრობლემების გადაწყვეტისადმი სრულიად გაუაზრებლად გულგრილი იქნება.

... უკვე იწურება ოლიმპიური ციკლის ბოლო წელი. აგვისტომდე არც ისე შორია...

სხვათა შორის, იმ თორმეტი ოლიმპიადიდან, რომელშიც ვმონაწილეობდით, ექვსი აგვისტოში გაიმართა. დღემდე ქართველების მონაგარი 31 ოლიმპიური ოქროდან 21 აგვისტოზე მოდის...

ახლა ათენში, ჩვენს ათლეტებს და სხვებსაც მძიმე ვითარებაში მოუწევთ მედლებისთვის ბრძოლა. განუზომლად დიდ კონკურენციასთან ერთად იქნება მძიმე კლიმატური პირობები, სპორტული ინფრასტრუქტურის პროგნოზირებადი გაუმართაობა. ალბათ იქნება მსაჯთა არაობიექტურობა და მიკერძოება, არაჯანსაღი ლობირება... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

ამიტომაც მით უფრო ღირებული იქნება იმ ოქროს ფასი, რომელსაც ათენიდან ველით.

თუმცა, ეს ჯერ მაინც ოცნების საგანია. და მაინც, ამ სამომავლო წარმატებას უკვე ბევრი სპორტული (და არა მარტო!) სტრუქტურა და პიროვნება წინასწარ ვინაწილებთ.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი წარმატება უპირველესად თავად სპორტსმენის დამსახურება იქნება.

რა თქმა უნდა, მწვრთნელთა დამსახურებაც იქნება. იქნება ფედერაციათა ხელმძღვანელების დამსახურება, სპორტის სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანოების წვლილი და, რა თქმა უნდა, იქნება ოლიმპიური ფონდის და მისი თავკაცის ბადრი პატარკაციშვილის ღვაწლი, ასე ბევრს რომ აკეთებს ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობისთვის.

მაგრამ, იმედია, არ გვიწყენენ ქართული სპორტის საკეთილდღეოდ დამაშვრალი ადამიანები, თუ ვიტყვით, რომ ჯერ არმოპოვებული, მაგრამ უსათუოდ მოსაპოვებელი ოქრო მაინც ქართული სპორტის უმდიდრესი ტრადიციებითაც იქნება განპირობებული, რაც სახელოვანი ვეტერანებისადმი ერთგვარი ხარკის გაღებად გვესახება.

ემზარ ზენაიშვილი

„ლელო" და ლელოელები

საიმედო ძალა

ნოდარი გუგუშვილი იხსენებდა:

— ის იყო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი დავამთავრე, რომ ქუჩაში მიშა კაკაბაძე შემხვდა და „ლელოში" მუშაობა შემომთავაზა. მან იცოდა სპორტი რომ მიყვარდა, მაგრამ არ იცოდა, რომ ასპირანტურაში ვაპირებდი სწავლას. მაშინ მიშა „ლელოს" რედაქტორად ახალდანიშნული იყო და ახალგაზრდა თანამშრომლებს ეძებდა. იმჟამად არაფერი ვუპასუხე. დამაცადე-მეთქი.

ეს შეხვედრა 1950 წლის გაზაფხულზე შედგა. მიშა და ნოდარი ყმაწვილკაცობიდან იცნობდნენ ერთმანეთს, თუმცა ტოლები არ იყვნენ. ორივე სოლოლაკში, თბილისის ძველ უბანში ცხოვრობდა.

ბოლოს ნოდარმა მაინც ამჯობინა „ლელოში" მოსვლა. მალე მოეწონა სარედაქციო საქმიანობა და თითქმის ნახევარი საუკუნე დაჰყო რედაქციაში. გარდაიცვალა 1996 წელს 69 წლის ასაკში.

ნოდარს დიდი მეგობრობა აკავშირებდა მიშა კაკაბაძესთან. 1976 წელს მიშა „ლელოდან" რომ გაათავისუფლეს, ნოდარი საქ. ტელევიზიაში გადავიდა სამუშაოდ. ცხადია, იქაც სპორტს ემსახურებოდა, მაგრამ დიდხანს ვერ გაძლო: ხუთიოდე წლის შემდეგ „ლელოს" დაუბრუნდა. მაშინ გულახდილ საუბარში მითხრა: — გაზეთში ბევრად მიჯობს მუშაობა. იქ სულ უნდა „გექავებოდეს" ენა, მე კი, იცი, ბევრი ლაპარაკი არ მსიამოვნებს!

ნოდარს „ლელო" და ლელოელები უყვარდა, თუმცა ყველასთან ახლოს არ ყოფილა. ხალისით იზიარებდა რედაქციის ჭირსა და ლხინს. იგი ზრდილი, კაცთმოყვარე იყო. რაღაცნაირი ხიბლი ჰქონდა. არ მიკვირდა, რომ მას მეგობრობდნენ თანაუბნელები — ამჟამად ხელოვნების ცნობილი მოღვაწენი გიგა ლორთქიფანიძე, ელდარ შენგელაია, ინჟინერი თენგიზ ვაჩნაძე, თემო ჩირგაძე, სპორტსმენები ვაჟა ქელენტი, ნოდარ ჯორჯიკია, დავით ციმაკურიძე, ვახტანგ ბალავაძე და სხვები. ისინი რედაქციაში აკითხავდნენ მას.

ნოდარ გუგუშვილი „ლელოს" საიმედო ძალა იყო. მას კარგად იცნობდა სპორტული სამყარო. იგი წერდა კალათბურთზე, ჭიდაობაზე, ჩოგბურთზე, ალპინიზმზე და სპორტის სხვა სახეობებზე. 50-იან წლებში „ლელოს" კორესპონდენტად დაჰყვებოდა შეჯიბრებებზე თბილისის „დინამოს" კალათბურთელებს. ნოდარი აშუქებდა მაშინდელი დინამოელების გამარჯვებებს სსრ კავშირის ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში.

„ლელოში" მუშაობამ გაამდიდრა ნოდარის ცოდნა სპორტის მრავალ სახეობაში. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ 80-იან წლებში სერიოზულად მოჰკიდა ხელი „ოლიმპიური ენციკლოპედიის" შექმნას. მერე იგი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. მან რთული და მძიმე სამუშაო იდო თავს. სათანადო მასალების მოძიება-შეგროვებას მრავალი წელი დასჭირდა. პარალელურად სპორტული ჟურნალის „მართვეს" რედაქტორობას უთავსებდა. სიძნელეებს არ გაურბოდა. ლელოელებიც ვეხმარებოდით ჟურნალში თანამშრომლობით.

თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ჩემი წერილები ჭადრაკზე. და მაინც, ნოდარიმ ვერ დაასრულა საშვილიშვილო საქმე. ბოლოს „ოლიმპიური ენციკლოპედია" დაამთავრა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა, ძველმა ლელოელმა ელგუჯა ბერიშვილმა. მას კოლეგა-ჟურნალისტებიც დაეხმარნენ. მე ქართველ ოლიმპიურ მოჭადრაკე ქალებზე დავუწერე.

„ენციკლოპედიამ" საერთო მოწონება დაიმსახურა. გულსატკენი იყო, რომ თავად ნოდარმა ვერ იხილა იგი. მას მანამდეც დაუწერია წიგნები. მაგალითად, ქართველ მოჭიდავეებზე. მერე მიკვირდა, რომ აღარ წერდა ჭიდაობაზე.

კიდევ ერთი საშვილიშვილო საქმის მოთავე იყო ნოდარი. იგი სპორტულ ჟურნალისტიკაში აკვალიანებდა ახალგაზრდებს. მათთან მიწერ-მოწერაც ჰქონდა. ეს ღვაწლი კიდეც დაუფასდა: 1996 წელს ერთ-ერთ პირველს, სპორტულ ჟურნალისტებს შორის, ღირსების ორდენი გადაეცა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ნოდარს თავმოსაწონი ოჯახი დარჩა: მეუღლე ქალბატონი მედეა გოცირიძე თსუ პროფესორი გახლავთ. ერთადერთი ქალიშვილის ნანას მეუღლე ჟურნალისტი ბიძინა ბარათაშვილი ტელეკომპანია „იმედის" გენერალური დირექტორია.

ნოდარი, როგორც ბიჭიკო ქორქია, „ლელოს" საქმესა და სიკეთეს განასახიერებდა!

თენგიზ გიორგაძე

ბავშვობიდან ჩოგბურთთან ერთად...

ბედნიერებაა, როცა სპორტული და შემოქმედებითი ნიჭი ერთმანეთს ემთხვევა. ასე მოდიან სპორტულ ჟურნალისტიკაში საქმის მცოდნე კალმოსნები, რომელთა თვალით დანახული და შეფასებული მოვლენები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მკითხველებში.

1973 წლიდან მოყოლებული, 20 წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე როგორც ჩოგბურთის მიმომხილველის, სისტემატურად იბეჭდებოდა „ლელოში", „ზარია ვოსტოკასა" და „ვეჩერნი თბილისში" არტემ მალაიანცის საინტერესო პუბლიკაციები.

ჩოგბურთისა და ანბანის შესწავლა ერთდროულად დაიწყო. მარჯანიშვილზე კორტების ახლოს ცხოვრობდა და, რა გასაკვირია, ყმაწვილები თუ ეზოში ომობანას ნაცვლად თვითნაკეთი ჩოგნით თამაშობდნენ. მარინა კლდიაშვილი იყო მისი პირველი გზის გამკვლავი ნამდვილი ჩოგბურთის სამყაროში. ბრინჯაოს ის მედალი, რომელიც პირველი ჯილდო იყო მის სპორტულ ბიოგრაფიაში, დღემდე ყველაზე საპატიოდ მიიჩნევს ჯილდოთა კოლექციაში. მერე იყო სამხედრო სავალდებულო სამსახური ვოლოგდაში, სადაც სათხილამურო სპორტის გარდა, არანაირი სპორტის სახეობა არ იყო პატივში.

არმიიდან დაბრუნებულმა ხელი მიჰყო მსაჯობას. აი, აქ კი ნამდვილად თვალსაჩინო კვალი დატოვა — უმსაჯია ყველა რანგის შეჯიბრება, მათ შორის 50-ზე მეტი მატჩი დევისის თასზე, აღარაფერს ვამბობთ სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონატებზე, სხვა ტურნირებზე, მათ შორის ქართველი ჩოგბურთის დიდოსტატების მონაწილეობით. თქვენ წარმოიდგინეთ, სსრ კავშირის ჩემპიონატებში რამდენჯერმე უმსაჯია ალექსანდრე მეტრეველისა და თემურ კაკულიას ფინალები. სულ 400-მდე მაღალი რანგის შეხვედრა აქვს ნამსაჯი. 20 წელიწადზე მეტხანს ტურნირებს ატარებდა ბათუმში, სოხუმში, თელავში და ა.შ. საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება ჯერ კიდევ მოსკოვში ოლიმპიადის წელს (1980) მიიღო.

არტემ მალაიანცი

დიდხანს იყო მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, კოლეგიის წევრია და დღესაც მხარში უდგას კოლეგებს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ტურნირების მაღალ დონეზე ჩატარებაში. ამასთან, ჩვენი ფედერაცია მას ხშირად ნიშნავს კომისრად სხვადასხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე.

ტენისის კორტებზეც ხშირად შენიშნავთ ჩოგნით ხელში, ის, როგორც ოდესღაც, ახლაც, თანატოლებს ეჯიბრება, ვეტერანთა გამოჩენას კორტებზე კი ყოველთვის ახლავს თავისი ეშხი და ლაზათი. ვეტერანთა საკავშირო შეჯიბრება ზედიზედ ორჯერ აქვს მოგებული (1986, 1987 წლებში) სევეროდონეცკში.

„ჩემი ცხოვრების იდეალია ისტორიული უბანი თბილისში, „კიროჩნი", სადაც დავიბადე და ამ უბანშივე მდებარე საჩოგბურთო კორტები, სადაც დღეს ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია მუშაობს" — ამბობს ჩოგბურთის მარად ერთგული და მისი ცნობილი მიმომხილველი არტემ მალაიანცი.

ც. ბაქრაძე

ფოტო რობერტ ბაგოიანისა.

„ლელოს" წინა ნომერში ჩვენ შემოგთავაზეთ წერილი ქუთაისში, ქალთა შორის ბალახის ჰოკეიში გამართული საქართველოს 2003 წლის ჩემპიონატის შესახებ. გუშინ რედაქციამ ბათუმიდან გამარჯვებული გუნდის ფოტოც მიიღო, რომელსაც დღეს გთავაზობთ. სურათზე აღბეჭდილია საქართველოს 2003 წლის ჩემპიონი ბალახის ჰოკეიში ბათუმის „კოლეჯის" გუნდი.

ამაგდართა ხსოვნის ტურნირი

სამტრედიაში ხელბურთის განვითარება-პოპულარობა ორი შესანიშნავი სპეციალისტის ვახტანგ (ძორონძო) ხელისუფალისა და მილერი ქიშმარიას სახელს უკავშირდება. მათი ხელმძღვანელობით ჩვენს ხელბურთელებს მრავალგზის უსახელებიათ თავი სხვადასხვა შეჯიბრებებში. დღეს ისინი აღარ არიან ჩვენს გვერდით, მაგრამ მათი ყოფილი შეგირდები ყველაფერს აკეთებენ თაობებს შემოუნახონ ამ ზნემაღალი ადამიანების ნათელი ხსოვნა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ტურნირი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების ჭაბუკ ხელბურთელთა გუნდების მონაწილეობით. ტურნირმა ეროსი მანჯგალაძის სახელობის „ლოკომოტივის" სტადიონის განახლებულ სპორტდარბაზში აიღო სტარტი. საზეიმო გახსნაში მონაწილეობდნენ რაიონის გამგებელი მერაბ სტურუა, რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გრიგოლ მიქელაძე, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე რამაზ თელია, თავისუფალ ჭიდაობაში ვეტერანთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ბადრი შენგელია, სპორტის ვეტერანი მუშაკები ნანი ძიძიგური, ჯემალ ნიკურაძე, როლანდ გარნოვსკი, ოთარ ლომსაძე.

წრიული სისტემით გამართულ ამ ტურნირში გამარჯვებული ბოლო ტურში, უნდა გამოვლენილიყო სამტრედიისა და ქუთაისის გუნდების შეხვედრაში. 34:28 გაიმარჯვეს მასპინძლებმა, მესამე ადგილზე გავიდა ფოთის გუნდი. მართალია, საპრიზო ადგილის მიღმა დარჩა, მაგრამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა ბათუმის გუნდმა.

დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მერაბ მეტრეველი, საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი ალეკო კიკაბიძე, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პრორექტორი ტრისტან გულბანი. გამარჯვებული გუნდისა და პრიზიორების გარდა სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ ცალკეული ხელბურთელები.

„ლელოს" კორ. სამტრედია.

გახსენება



საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს კრივში ბივი (ბოჩო) იაშვილს 13 ნოემბერს შეუსრულდებოდა დაბადებიდან 70 წელი. როგორც თითქმის ყველა სოხუმელი ბავშვი, გატაცებული იყო ფეხბურთით, ცურვით, მაგრამ ვაჟკაცურმა სპორტმა, კრივმა გადაძლია. მისი მწვრთნელი იყო წარსულში ცნობილი მოკრივე გიორგი ჭანტურია. 1946-1952 წლებში იყო აფხაზეთის ჩემპიონი, საქართველოს ჩემპიონი პირად და გუნდურ შეჯიბრებებში. მონაწილეობდა სსრკ სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში. დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი. მწვრთნელ-პედაგოგად იმუშავა 40 წელიწადზე მეტი, იყო ჭეშმარიტი მწვრთნელი და აღმზრდელი. მისი აღზრდილებია გ. ქოიავა – აფხაზეთის ჩემპიონი, საქართველოს და სსრკ-ს პრიზიორი, ამჟამად საქართველოს უმაღლესი სასამართლოს წევრი; აფხაზეთის საქართველოსა და საკავშირო პირველობების ჩემპიონები და პრიზიორები რ. აჟიბა, ზ. გვაჯავა, თ. სამუშია, დ. ფურღულია... მისი თაოსნობით და მონაწილეობით აშენდა სოხუმში კრივის დარბაზი, სპორტულ ჟურნალისტიკაშიც გამოიჩინა თავი. ბოლო წლებში დევნილობაში იყო ოჯახით და ისე წავიდა ამქვეყნიდან, სოხუმში დაბრუნების ოცნება ოცნებად დარჩა.

მეგობრები

ფეხბურთი რასიზმის გარეშე

საქართველოს
XV ეროვნული
ჩემპიონატი
ფეხბურთში
XVI ტური
უმაღლესი ლიგა

საქართველოს
პროფესიული
ფეხბურთის
ლიგა

Coca-Cola
გენერალური სპონსორი

„დინამო“ (თბ) - „ლოკომოტივი“ 1-0

XV ეროვნული ჩემპიონატის მეთექვსმეტე ტურის ბოლო მატჩი, თბილისური დერბით დასრულდა. „ეროვნულზე“ თბილისის „დინამომ“ — „ლოკომოტივს“ უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით 1-0 სძლია მეტოქეს. მიუხედავად წვიმისა და სიცივისა, გულშემატკივარი მაინც ბლომად შეიკრიბა. ტრიბუნებზე კვლავ გაისმოდა გამამხნევებელი შეძახილები. მართალია თამაში „დინამოს“ გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ არც „ლოკომოტივი“ გამოიყურებოდა ურიგოდ.

სტუმართა რიგებში, ორივე ტაიმში აქტიურად ითამაშა განელმა ნანა ეშუანმა, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხა, მას თითქმის მეტოქის ყველა მცველი მეურვეობდა. რკინიგზელთა რიგებში არ უთამაშიათ რევაზ ქემოკლიძეს, ლევან ხომერიკსა და მეკარე გრიშიკაშვილს: „სამი ფეხბურთელი გვაკლდა, რომლებიც შეუძლოდ იყვნენ და ვერ ითამაშეს, მაგრამ უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ ჩემი შეგირდების“ — განაცხადა ლუის ცაკარიასმა.

„დინამოს“ რიგებში არ იმყოფებოდა სამი ძირითადი ფეხბურთელი. ანჩაბაძე, რომელიც დისკვალიფიცირებულია, ბრაზილიელი კარლოს და როჩა და ოთარ ხიზანეიშვილი კი ტრავმირებულები არიან.

„ტრავმა ისევ გამირთულდა, რის გამოც ვერ მოვახერხე ჩემი თანაგუნდელების დახმარება. იმედია, ყველაფერი კარგად დამთავრდება და მომდევნო მატჩებში მივიღებ მონაწილეობას“ — ასე ახსნა ნაკრების ფეხბურთელმა გუნდში არყოფნა. აღსანიშნავია, სანდრო იაშვილის თამაში, რომელიც მთელი 88 წუთის განმავლობაში სრული ძალებით უტევდა და 27-ე წუთზე გამარჯვების გოლის გატანაც კი მოახერხა. ამის შემდეგ კიდევ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა მასპინძლებს, კერძოდ, ალექსიძეს, რომელმაც უძლიერესად დაარტყა მაგრამ მეკარე ხაჩირაშვილის კარი რეალური საგოლე მომენტისაგან გადარჩა, გუნდი ძელმა იხსნა.

მეორე ტაიმში განხორციელებულმა ცვლილებებმა „ლოკომოტივზე“ დადებითად იმოქმედა. სოსელიას, კობახიძის და ონიანის გამოსვლის შემდეგ რკინიგზელები გამოცოცხლდნენ და უფრო ხშირად ერთვებოდნენ კონტრშეტევებში, მაგრამ „დინამოს“ დაცვა ამ მატჩში, აუღებელ ციხესიმაგრედ იქცა.

„დინამო“ (თბ) – „ლოკომოტივი“
ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

პრესკონფერენციაზე

ლუის ცაკარიასი: „პირველ რიგში ვულოცავ ჩემს კოლეგას გამარჯვებას. რაც შეეხება თამაშს, ვერ ვიტყვი, რომ უინტერესო იყო. ჩემებმა პირველ ტაიმში უფრო სუსტად ითამაშეს ვიდრე მეორეში. ალბათ, ეს შეცვლებმა განაპირობა. არც მეკარის თამაშით ვარ უკმაყოფილო. მართალია, პირველ ტაიმში გოლი გაუშვა, მაგრამ თავდაჯერება მიიღო და მეორე ტაიმში ბევრჯერ გადაარჩინა ჩვენი გუნდი“.

ივო შუშაკი: „ლოკომოტივი“ ძლიერი გუნდია, რომელიც დაკომპლექტებულია კარგი ფეხბურთელებით. აღსანიშნავია, რომ ჩემმა კოლეგამ მოახერხა და ორ თამაშში გუნდი შეკრა, შედეგსაც აღწევს. თამაშს რაც შეეხება, ვფიქრობ, ცუდი არ ყოფილა, პირიქით, დღეს ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩავატარეთ“.

ლ. ჯანკოტაძე

„მცხეთა“ – „სიონი“ 0-4

„არმაზზე“ სამი საათისთვის დანიშნული მატჩი 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო, მიზეზი კი მატჩის არბიტრი სერგო კვარაცხელია იყო, რომელიც დასავლეთ საქართველოდან მომავალ გზაზე პოლიციამ შეაფერხა.

უშუალოდ მატჩი კი სტუმართა სრული უპირატესობით წარიმართა.

პირველი სახიფათო მომენტი მე-4 წუთზე მასპინძელთა კაპიტანმა შექმნა, მან ბოლნისელთა კარისკენ ისევე ძლიერად და არაზუსტად დაარტყა, როგორც ორიოდ წუთის შემდეგ ბოლნელმა იური გაბისკირიამ. „სიონი“ გააფთრებული უტევდა, მცხეთელები კი თავს იცავდნენ.

მე-15 წუთზე გონჩაროვმა „მცხეთას“ მცველებს ბურთი აართვა, მერე მეკარესთან ეულად დარჩენილმა დაარტყა, მაგრამ მეკარემ კარგად ითამაშა და სიტუაცია განმუხტა.

30-ე წუთზე ისევ გონჩაროვის სახიფათო დარტყმული ბურთი ცინაძემ ლამაზი ნახტომით კუთხურზე მოიგერია.

ტაიმის მიწურულს „მცხეთას“ შემადგენლობაში გამოჩნდა ექს-ლოკომოტიველი თემურ რაქვიაშვილი, მან გააქტიურაა მცხეთელთა ფლანგები და მისივე აქტიურობით, ბოლნისელთა კართან, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შეიქმნა, მაგრამ უშედეგოდ.

მეორე ტაიმი ბოლნისელთა იერიშებით განახლდა. 55-ე წუთზე „მცხეთას“ ნახევარზე დაინიშნა ჯარიმა, სტანდარტული სწრაფად გაათამაშეს ბოლნისელებმა და შენგელიამ საჯარიმოში ჩაჰკიდა, ბურთისთვის ბრძოლა კოშკაძემ მოიგო და ახგარიში გახსნა.

მე-60 წუთზე მცხეთელთა კარში მეორე ბურთიც გავიდა, — გაბისკირიამ კარგად მონახა საჯარიმოში მდგომი გონჩაროვი და... 0-2.

მცხეთელებმა ერთადერთი დასამახსოვრებელი მომენტი 75-ე წუთზე შექმნეს, როდესაც მცველებში კარგად გამძვრალმა რაქვიაშვილმა ძლიერად დაარტყა, მაგრამ ზუსტად მეკარემ ითამაშა.

მატჩის მიწურულს ბოლნისელმა ფანჩულიძემ მეკარესთან პირისპირ გაიყვანა გოჩაროვი და მასაც თავი არ შეურცხვენია, მანვე ორ წუთში მეოთხე გოლი გაუტანა მოწინააღმდეგეს, პირად აქტივში კი ჰეთ-თრიკი ჩაიწერა.

ამ გამარჯვებით ბოლნისელები ერთი დღით გალიდერდნენ, მაგრამ „დინამოს“ გამარჯვებამ ისინი კვლავ მეორე ადგილზე დააბრუნა.

სოსო ჯავახიშვილი
მცხეთა. „ლელოს“ სპეც. კორ.

ექვსეულები იკვეთება

ეროვნული პირველობის მეთექვსმეტე ტურის მატჩებმა მეტნაკლები სიზუსტით განსაზღვრეს თუ ვინ არის შნოიანი და უშნო პირველი ეტაპის მიწურულს. გამოიკვეთა თბილისის „დინამოსა“ და ბოლნისის „სიონის“ საგრძნობი უპირატესობა, რაც ვიტელთა ქუთაისში განცდილმა მარცხმა განაპირობა. ტორპედოელებმა რთულ მატჩში მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს და საუკეთესო ექვსეულში შესვლას კიდევ ეცდებიან. გასვლითი მატჩი მოიგო „თბილისმა“ გორში, მეხუთე ადგილიც შეინარჩუნა და მეტოქესთან ქულათა სხვაობაც შეამცირა. შესამჩნევად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა ბათუმის „დინამომ“. სამწუხაროდ, დღითიდღე სუსტდება ფოთის „კოლხეთი“. კოლხთა გუნდი ასეთი უსუსური არასოდეს ყოფილა. კლუბში საგანგაშო ვითარება კიდევ ერთხელ ცხადყო უშუალო კონკურენტთან „სპარტაკთან“ ნაგებულმა მატჩმა.

მეთექვსმეტე ტურს სამდღიანი შესვენების შემდეგ მეჩვიდმეტე ტური მიჰყვება, რომლის მატჩები ოთხშაბათს და ხუთშაბათს გაიმართება. ულაპარაკოდ, ტურის მთავარი მატჩი ვაკეში ჩატარდება. „ლოკომოტივი“ „ტორპედოს“ მასპინძლობს. თანაბარ ქულიან მეტოქეთა ჭიდილში უნდა გაირკვეს, ვის ერგება და ვინ იმსახურებს ზეექვსეულში სანუკვარ ადგილს.

მთლიანობაში მეჩვიდმეტე ტურის განრიგი ასეთია:

უმაღლესი ლიგა, XVII ტური

ხვალ, 12 ნოემბერს
მცხეთა – სპარტაკი
სიონი – დილა
ვიტ ჯორჯია – კოლხეთი 1913
თბილისი – დინამო (ბთ)

ზეგ, 13 ნოემბერს
მერცხალი – დინამო (თბ)
ლოკომოტივი – ტორპედო.

„სპარტაკი“ – „კოლხეთი 1913“ 1-0

თბილისის „სპარტაკი“ იმ ახალგაზრდა ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, რომლებიც მიმდინარე ჩემპიონატში დებიუტანტები არიან, მაგრამ არაერთხელ დაამტკიცეს თავიანთი სიძლიერე. შაბათს გამართულ მატჩში აჩვენეს გულშემატკივრებს ის თამაში, რომელსაც ყველა დიდი ხანი ელოდა. სწრაფი ტემპი, თავდაუზოგავი ბრძოლა ბურთისათვის. მათ კონტრშეტევებს გულშემატკივრები ოვაციებით ხვდებოდნენ, ეს კი ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის დიდი სტიმულია.

ეროვნული ჩემპიონატის განმავლობაში ასეთი სუსტი მატჩი ფოთის „კოლხეთს“ ჯერ არ ჩაუტარებია. ცოტა ვინმე თუ ელოდა იმ შედეგს, რაც ტაბლოზე დაფიქსირდა, მაგრამ მოსახდენი მოხდა. კოლხებმა ამ წაგებით ჩემპიონატში მე-11 ადგილზე გადაინაცვლეს.

მასპინძელთა რიგებში თითქმის ყველა აქტიურობდა, განსაკუთრებით დავით ბოლქვაძე და გია თოდუა. მეორე ტაიმში ვიხილეთ ზღვისპირელთა განსხვავებული თამაში. 50-ე წუთზე მასპინძელთა საჯარიმოში არეულობით ტუღუშმა ისარგებლა და გოლიც გაიტანა, მაგრამ გვერდითმა და შემდეგ მთავარმა მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირეს. ამის შემდეგ, განაწყენებული ფოთელები უხეშობით გამოირჩეოდნენ, თუმცა სპარტაკელები მაინც ხშირად ჩადიოდნენ სტუმართა საჯარიმოში. 78-ე წუთზე ხისტად ითამაშა სპარტაკელმა ბოლქვაძემ და ყვითელი ბარათი დაიმსახურა. თამაშის დასრულებამდე არაერთხელ შეუტიეს მასპინძლებმა და და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

ლ. ფერაძე

XVI ტურის სტატისტიკა

ოფიციალური ოქმების მიხედვით

თბილისი. 8 ნოემბერი. სტადიონი „ლოკომოტივი“. 100 მაყურებელი
სპარტაკი – კოლხეთი 1913 1-0

სპარტაკი: მამალაძე, წურწუმია, ქვანია, დონდოლაძე, ჩიკვილაძე, კ. ალადაშვილი (ებრალიძე 90), დ. ბოლქვაძე, იმნაიშვილი, გ. თოდუა, ტატანაშვილი (შ. ფირცხალავა 83), კოტრიკაძე (გ. დოლიძე 79).

კოლხეთი: ბათიაშვილი, ბალათურია (თაყაძე 42), ქუტიძე, შ. ლონლაძე, მინდაძე, სვანაძე, ლ. ხურცილავა (ჯ. შალამბერიძე 46), მ. ქობულაძე (მალანია 53), ლაღანიძე, ტუღუში.

გოლი: 1-0 იმნაიშვილი (36)

გააფრთხილეს: ხურცილავა (6), ალადაშვილი (44), ტუღუში (45), შალამბერიძე (53), ბოლქვაძე (75), იმნაიშვილი (88), სვანაძე (88), ბოლქვაძე (90).

გააძევეს: ბოლქვაძე (90)

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

თბილისი. 9 ნოემბერი. ეროვნული სტადიონი. 1000 მაყურებელი
დინამო (თბ) – ლოკომოტ. 1-0

დინამო: გვარამაძე, წერეთელი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, ბურდული, დარასელია, იაშვილი (კანდელაკი 88), ალექსიძე, ახალაია.

ლოკომოტივი: ხაჩირაშვილი, ზამთარაძე, სალუქვაძე, ვაშაკიძე, ორბელაძე (რ. ონიანი 74), სიჭინავა, უგრეხელიძე, ბურნაძე (სოსელია 46), ქოქიაშვილი (ვ. კობახიძე 46), სირაძე, ეშუანი.

გოლი: 1-0 იაშვილი (27)

გააფრთხილეს: ალექსიძე (34)

მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

მცხეთა. 8 ნოემბერი. სტადიონი „არმაზი“ 300 მაყურებელი
მცხეთა – სიონი 0-4

მცხეთა: ცინაძე, სიამაშვილი, ბ. ნოზაძე, ლ. ჩხაიძე, ამბიძე (რაქვიაშვილი 36), კირვალიძე (სუბელიანი 71), თირქია (ხიდეშელი 46), ავალიანი, ჩაჩუა, ძაგნიძე, პარამონოვი.

სიონი. ა. ლაბაძე, ხუჯაძე, ჰიჰვიშვილი, ბაქრაძე, გილაური (ისიანი 62), კვეკვესკირი (დარსანია 90), გაბიდაური, კოშკაძე, გაბისკირია, გ. შენგელია (ფანჩულიძე 85), გონჩაროვი.

გოლები: 0-1 კოშკაძე (54), 0-2, 0-3, 0-4 გონჩაროვი (58, 89, 90).

მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

გორი. 8 ნოემბერი. თ. ბურჯანაძის სახ. სტადიონი. 2000 მაყურებელი
დილა – თბილისი 1-2

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხაჰაპურიძე, გ. ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, სულთანიშვილი (ლ. რაზმაძე 56), კაიდარაშვილი, ბ. ჩიტაია (ძოძუაშვილი 68), ჯობაძე, ლ. გოჩაშვილი, გ.ჩიტაია.

თბილისი: ნაჭყეპია, გ. კვარაცხელია, სიდამონიძე, დავითაშვილი, მიკუჩაძე (გ. ნოდ. ჰელიძე 35), ლოლაძე, ოდიკაძე (გეწაძე, 80), ელიავა, გ. ნუგ. ჰელიძე, გ. გოგუა (ხოჯავა 27), აფციაური.

გოლები: 1-0 კაიდარაშვილი (21), 1-1 ხოჯავა (59), 1-2 გეწაძე (84)

გააფრთხილეს: გოგიტა გოგუა (20), გ. ჩიტაია (30).

მსაჯი: მ. მაისურაძე (თბილისი)

ბათუმი. 8 ნოემბერი. სტადიონი „დინამო“ 500 მაყურებელი
დინამო (ბთ) – მერცხალი 3-2

დინამო: ქვაჩახია, მახარაძე, ბეგლარ თედორაძე, გალოგრე, გუშარაშვილი, კობიძე, რომანაძე (ბესო თედორაძე 60), ი. შენგელია, მანჩხავა (დარჩიძე 61), სირბილაძე (ცანავა 84), კაკალაძე.

მერცხალი: გია გოგუა, კობაური (ხუჰუა 69), ჰალიაშვილი, გ. ილურიძე, გ. წიწვიძე, მჟავანაძე, ბართია, კალანდაძე, ჰინჰარაული (დ. სიამაშვილი 75), მებონია, გაბედავა.

გოლები: 0-1 ბართია (13), 1-1 სირბილაძე (35), 2-1 კაკალაძე (59) 2-2 გაბედავა (87), 3-2 მახარაძე (90).

გააფრთხლეს: ჰალიაშვილი (32), ცანავა (90)

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

ქუთაისი. 8 ნოემბერი. სტადიონი „ტორპედო“ 3000 მაყურებელი
ტორპედო – ვიტ ჯორჯია 2-1

ტორპედო: სტურუა, ხვადაგიანი, მახვილაძე, ს. თოდუა, ლ. ჰელიძე (ნადირაძე 78), კვეტენაძე (მუშკუდიანი 81), ნერგაძე, გამეზარდაშვილი, ბაბუნაშვილი, პოროშინი (ქუთათელაძე 64), ჩხეტიანი.

ვიტ ჯორჯია: მერლანი, კობიაშვილი, იმედაშვილი, ინწკირველი, ვ. გოჩაშვილი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, დეკანოსიძე (დ. დოლიძე 85). გველესიანი, მარცვალაძე, გოცირიძე (გ. ადამია 71).

გოლები: 1-0 პოროშინი (41), 1-1 გოცირიძე (58) 2-1 ქუთათელაძე (83)

გააფრთხილეს: ლ. ნოზაძე (64), ხვადაგიანი (73).

მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

დინამო (თბ)	16	10	4	2	33-6	34
სიონი	16	9	6	1	22-8	33
ვიტ ჯორჯია	15	8	5	2	25-9	29
დილა	16	8	3	5	19-13	27
თბილისი	16	7	4	5	29-19	25
ლოკომოტივი	16	6	4	6	22-19	22
ტორპედო	16	6	4	6	15-17	22
დინამო (ბთ)	15	6	1	8	20-19	19
მცხეთა	16	5	2	9	18-37	17
სპარტაკი	16	3	4	9	9-36	13
კოლხეთი1913	16	3	3	10	9-22	12
მერცხალი	16	2	4	10	16-32	10

ბომბარდირი

ს. დავითაშვილი (თბილისი) — 12

საქართველოში რასიზმი არ ყოფილა და არც არასოდეს გამოვლინდება!

საქართველოს XV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში XIII ტური

პირველი ლიგა

9 ნოემბერი
სამგურალი — მილანი 1-0
10 ნოემბერი
ივერია — ცხინვალი 0-1
ოლიმპი — გორდა 2-0
გურია — თსუ 3-2
ლუკა — ქობულეთი 1-4
დღეს, 11 ნოემბერს
მეტალურგი — ლოკომ (სამტრ)
დინამო 2 (თბ) — ამერი
ვიტ ჯორჯია (მცხ) — ჩიხურა

რეგიონული ლიგა

აღმოსავლეთის ზონა
გადატანილი მატჩები
ავაზა — თბილისი 1-0
თ.ს. აკადემია — ნორჩ. დინ. 3-1
ნორჩ.დინ2 — კრწანისი 2-3

ჭაბუკთა ლიგა,

IX ტური

89-90 წწ.
დინამო (თბ) — ვიტ ჯორჯია 0-1
მცხეთა — თბილისი 4-0
დილა — მერცხალი 3-3
დინამო (ბთ) — ლოკომოტივი 2-0
ტორპედო — კოლხეთი 1913 2-0
სპარტაკი — სიონი10-0

87-88 წწ.
დინამო (თბ) — ვიტ ჯორჯია 0-1
მცხეთა — თბილისი 0-1
დილა — მერცხალი 3-1
დინამო (ბთ) — ლოკომოტივი 1-2
ტორპედო — კოლხეთი 1913 1-0
სპარტაკი — სიონი 4-0

85-86 წწ.
სიონი — სპარტაკი 2-2
თბილისი — მცხეთა (გადაიდო)
მერცხალი — დილა 1-0
ლოკომოტივი — დინამო (ბთ) (გადაიდო)
კოლხეთი 1913 — ტორპედო 3-1
ვიტ ჯორჯია — დინამო (თბ) 2-1

მილოცვა

ქართველ მსაჯთა კორპუსი დაბადებიდან 65 წლის იუბილეს ულოცავს ვეტერან მსაჯს ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ინსპექტორს შალვა ჩინოიანს.

სამი მატჩი, სამი მარცხი

სრული ფიასკოთი დაასრულა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი თურქეთში საქართველოს 17 წლამდელ ჭაბუკთა ნაკრებმა. გელა გომელაურის შეგირდებმა უელსთან წაგების შემდეგ ჯგუფური ტურის დარჩენილი ორი მატჩიც დათმეს აზერბაიჯანთან 1-2, თურქეთთან 0-5 და ბოლო ადგილზე გავიდნენ. ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე ასპარეზობას კი თურქეთისა და უელსის ჭაბუკები აგრძელებენ.

მინიც განზე დარჩა

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები დაასრულა საქართველოს ფუტსალის ნაკრებმაც. სლოვენიაში გელა ინალიშვილის შეგირდებმა სამი მატჩიდან ორი წააგეს სერბებთან 3-6 და სლოვენიასთან 0-5, მოუგეს მოლდაველთ 6-5 და ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდნენ. შესარჩევი ეტაპი მოიგეს მასპინძლებმა სლოვენიელებთან, მათ ბოლო მატჩში აჯობეს სერბებს 2-1 და ფლეი-ოფში ითამაშებენ.

ნორჩი თაობის უნარიანი აღმზრდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაცვლილი მეგობრის გახსენება ადამიანს ყოველთვის სევდას ჰგვრის. მით უმეტეს მაშინ, როცა მეგობარი კაცური კაცის სახელით მიდის ამქვეყნიდან. განათლებული, თავისი საქმის დიდი მცოდნე. ნორჩი თაობის გულისხმიერი, უნარიანი აღმზრდელი, ფიზიკურად სრულქმნილი და ბავშვივით ხალასი გულის პატრონი, მეგობრების დიდი მოყვარული, დინჯი, აუღელვებელი, ყოველთვის თავდაჭერილი და მოზომილი სიტყვის ოსტატი. ვინც იცნობდა, ალბათ ყველას ასეთი წარმოუდგენია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ეროვნული კატეგორიის მსაჯი მრავალი გამარჯვებების და თითებზე ჩამოუთვლელი ახალგაზრდა, შემდგომში ცნობილი ფეხბურთის ოსტატის თუ დიდოსტატის აღმზრდელი, ფარვიზ (ბორის) ჭელიძე. ფეხბურთის თამაში მან ბავშვობიდან დაიწყო. 1938 წელს გამოდიოდა თბილისის საპორტსკოლის გუნდში, 1943 წელს საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს, მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში გერმანიისა და იაპონიის ფრონტებზე. რამდენიმე წლის მანძილზე საბჭოთა არმიის ფეხბურთელთა გუნდებში თამაშობდა. გამოდიოდა შორეული აღმოსავლეთის ნაკრების შემადგენლობაში. ბევრმა დღესაც არ იცის, რომ ბორისი უფრო წარმატებულ შედეგებს აღწევდა ფარიკაობაში. 1953 წელს, ნოემბერში ქ. ლენინგრადში ჩატარებულ საბჭოთა კავშირის პირველობაზე ჩემპიონის სახელიც კი მოიპოვა. მაშინ მეორე ადგილი შემდგომში საქვეყნოდ ცნობილმა კოსმონავტმა მფრინამა ელისეევმა დაიკავა. ამას ადასტურებს ფოტო, რომელიც ფ. ჭელიძის ალბომში აღმოვაჩინე. მიუხედავად ფარიკაობაში დიდი წარმატებებისა, ახალგაზრდობიდან მოყოლებული მთელი ცხოვრება მაინც ფეხბურთს დაუთმო. ემსახურებოდა როგორც საქართველოს, ისე საკავშირო პირველობების მატჩებს.

ფ. ჭელიძემ დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა როგორც ბავშვთა შორის მომუშავე მწვრთნელმა. მან აღზარდა ცნობილი ფეხბურთელები, მათ შორის დათო ყიფიანი, მისი ხელმძღვანელობით მიიღეს საფეხბურთო ნათლობა თ. ღოღობერიძემ, ი. ზაზროევმა, თ. მიქაშავიძემ, ი. ჯანშიევმა, ო. იობიძემ და სხვა მრავალმა ოსტატმა.

არაერთხელ გამოსულან წარმატებით მისი ხელმძღვანელობით საკავშირო პირველობებზე ჩვენი მოზარდთა თუ ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. გარდა ახალგაზრდებისა, ფ. ჭელიძე წვრთნიდა ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებსაც: რუსთავის „მეტალურგს“, თბილისის „სპარტაკს“, ტყიბულის „მეშახტეს“, ჭიათურის „მაღაროელს“ და სხვა.

ბორისის წასვლით ამქვეყნიდან ბევრი რამ დააკლდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღზრდადაოსტატების საქმეს.

ელდარ ჩიფჩიური

მარცხენა სურათზე — ლენინგრადი. 1953 წლის 16 ნოემბერი. სსრკ-ს მოფარიკავეთა გუნდური პირველობა. მარცხნიდან პირველი ბ. ჭელიძე, მესამე — მფრინავი კოსმონავტი ელისეევი; ზედა სურათზე — მოგილიოვი. 1958 წელი. სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ საკავშირო პირველობა. მედროშის შემდეგ მოაბიჯებს ბორია ჭელიძე.

გურამ ცხოვრებოვი — ფეხმარდი ფეხბურთელი

ვისაც გურამ ცხოვრებოვი ერთხელ მაინც უხილავს მწვანე მინდორზე, უნებლიედ გაიხსენებდა პოეტის სიტყვებს — „ოსი ფეხმარდი, — მთიული — ბრძოლაში შეუპოვარნი“, და, მართლაც, რომ ფეხმარდი ფეხბურთელი იყო იგი. ძირითადად ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ ცხინვალის საფეხბურთო სკოლის აღზრდილი და იქვე დაბადებული გურამ ცხოვრებოვი, თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი ფეხბურთელის რეკომენდაციით 1957 წელს ჩარიცხეს დედაქალაქის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობაში. აქ მას თვალი დაადგა ქართული ფეხბურთის მამამთავარმა ანდრო ჟორდანიამ და 1958 წელს ქუთაისში ჩამოყალიბებული საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივში“ მიიწვია (ეს გუნდი „ტორპედოს“ წინამორბედი იყო). გურამ ცხოვრებოვს რომ ლომის წილი მიუძღვის ქუთაისის „ტორპედოს“ აღზევებაში, იმაშიც აისახა, რომ გუნდმა დამსახურებულად მოიგო 1961 წლის სეზონში „ა“ კლასის ერთადერთი საგზური კიშინიოვში და გურამი მომდევნო, 1962 და 1963 წლის სეზონში დიდად დაეხმარა „ტორპედოს“ დამკვიდრებლებს უმაღლეს ეშელონში. იმდროინდელ „ტორპედოს“ ხელმძღვანელობას მეკარისა და დაცვის ხაზში არავითარი პრობლემები არ აწუხებდათ, დაწყებული მეკარე ურუშაძით, ახალგაზრდა იუზა ლოსაბერიძით და დიდ საფეხბურთო ბატალიებში გამობრძმედილ ედუარდ თორაძით დამთავრებული. რაც შეეხება ნახევარდაცვისა და თავდასხმის ხაზს — აქ გუნდის ხელმძღვანელობა დიდი პრობლემების წინაშე იდგა. სწორედ ასეთ უმძიმეს პირობებში მოუხდა ქუთაისის „ტორპედოს“ გზის გაკვლევა დიდი ფეხბურთის ლაბირინთებში. ამ მომენტში გურამ ცხოვრებოვი გაუვალ ციხესიმაგრედ მოევლინა „ტორპედოს“ დაცვას. ამ დროს მოუხდა მას მეურვეობა გაეწია ისეთ გამოჩენილ ფორვარდებთან, როგორებიც იყვნენ: სლავა მეტრეველი მოსკოვის „ტორპედოდან“, ვალერი ურინი მოსკოვის „დინამოდან“ გერმან აპუხტინი არმიის ცენტრალური სპორტული კლუბიდან, რომ არაფერი ვთქვათ თბილისისა და კიევის „დინამოს“ მარჯვენა გარემარბებზე — თენგიზ მელაშვილზე და ოლეგ ბაზილევიჩზე. ბუნებრივია, გურამ ცხოვრებოვის თავდადებულ თამაშს თვალი დაადგეს „დინამოს“ მესვეურებმა და სულ მალე, 1964 წლის საფეხბურთო სეზონში, იგი გამოჩნდა თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში ჩვეულ ამპლუაში. მარცხენა მცველის პოსტზე ითამაშა რა საკავშირო ჩემპიონატის 32 მატჩი, ფეხბედნიერი გამოდგა მისი მოსვლა თბილისის „დინამოში“. ღვაწლი დაუფასდა... ის, რაზედაც ათეული წლების განმავლობაში ოცნებობდნენ „დიდი ურუგვაელები“, გურამ ცხოვრებოვმა ერთ სეზონში გამოჰკრა ხელი ოქროს მედალს. 7 სეზონის განმავლობაში იცავდა იგი თბილისის „დინამოს“ ღირსებას და მაყურებელს არ ახსოვს მის მიერ „ჩაგდებული“ მატჩი. იგი ბოლომდე იხარჯებოდა, რაც, სამწუხაროდ, აკლია ბევრ თანამედროვე ფეხბურთელს. ამ გარემოებამ განაპირობა გურამ ცხოვრებოვის მიწვევა საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებში 1967 წელს, სადაც მან 7 მატჩი ითამაშა. ამავე წელს მისი გამოსვლა თბილისის „დინამოში“ აღინიშნა ბრინჯაოს მედლით. რაც შეეხება გატანილ გოლებს, 4-ჯერ თავი გამოიჩინა საკავშირო ჩემპიონატის 151 კალენდარულ მატჩში, ხოლო 1 გოლი საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში გაუტანა ჩეხოსლოვაკიაში სტუმრად ყოფნის დროს ქალაქ გრადეც-კრალოვის „სპარტაკს“. საერთო ჯამში თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოს“ და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში მის მიერ ჩატარებული მატჩების რაოდენობა თავისუფლად მიაღწევს 250-ს. თავის დროზე მასთან საუბრისას — თუ ვის მიიჩნევდა იგი ყველაზე აგრესიულ მეტოქედ, განაცხადა — მხოლოდ სლავა მეტრეველს, და ისიც დასძინა, რომ სლავა მეტრეველზე უკეთესი მარჯვენა გარემარბი მას საერთოდ არ შეხვედრია, რომ სლავა მეტრეველის თბილისის „დინამოში“ გადმოყვანამ განსაზღვრა თბილისის „დინამოს“ გაჩემპიონება 1964 წლის საფეხბურთო სეზონში. გატანილი გოლებიდან თუ რომელი დაამახსოვრდა ყველაზე მეტად, გურამ ცხოვრებოვმა თქვა: „რა თქმა უნდა, გოლი, რომელიც 1965 წლის საფეხბურთო სეზონის მიწურულს მაქვს გატანილი მოსკოვის „სპარტაკის“ კარში და ეს შეხვედრა თბილისში მოვიგეთ 2-1“. წლეულს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, გურამ ცხოვრებოვის დაბადების 65 წლისთავთან დაკავშირებით თანაგუნდელებმა დიდი პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

დემურ ტორაძე

გაზეთის დაბეჭდვამდე

ოცი გულშემატკივარი დააკავეს...

სერბიისა და ჩერნოგორიის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურში, ცენტრალური მატჩის შემდეგ (ერთმანეთს ხვდებოდნენ ამ ქვეყნის უძლიერესი გუნდები — „ცრვენა ზვეზდა“ და „პარტიზანი“) გულშემატკივართა შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც 7 ადამიანი დაშავდა. ერთი მათგანი ჰოსპიტალში მოათავსეს. პოლიციამ დააკავა 20 გულშემატკივარი. ესენი არიან „პარტიზანის“ ფანატები, რომლებიც მოედანზე პლასტმასის სკამებს ისროდნენ ტრიბუნიდან.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი მწუხარებით იუწყებიან, რომ ფიფას არბიტრს დავით სანაიას გარდაეცვალა მამა და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 15 ნოემბერს 15 საათზე. მარტვილის რ-ნის სოფ. ლეხაინდრაო.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

იაშვილის „ჰეთ-თრიკი“, შოთას „დუბლი“ და... სამეფო კლუბის კრახი

გასულ შაბათ-კვირას გამართული ევროპის ქვეყნების ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ქართველთა გოლებით აღინიშნა.

გერმანიის ბუნდესლიგის მე-12 ტურში ცქიტიშვილისა და იაშვილის „ფრაიბურგმა“ „ვოლფსბურგს“ უმასპინძლა. 31-ე წუთზე იაშვილმა გახსნა ანგარიში, ორ წუთში ქართველმა ფორვარდმა ანგარიში 2-0 გახადა. მეორე ტაიმი „ვოლფსბურგმა“ აქტიურად დაიწყო და 62-ე წუთზე ტოპიჩმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა. თუმცა, მალე ისევ გაიბრწყინა იაშვილმა, რომელმაც მესამედ აიღო მეტოქის კარი და თავისი გუნდის გამარჯვება უზრუნველყო. მართალია, ბოლო წამებზე სტუმრებმა კიდევ ერთი გოლი გაიტანეს, მაგრამ ეს უკვე აღარაფერს წყვეტდა. „ფრაიბურგმა“ იაშვილის „ჰეთ-თრიკის“ წყალობით 3-2 გაიმარჯვა. სხვათა შორის, ეს პირველი ქართული „ჰეთ-თრიკია“ ბუნდესლიგაში.

ამ მატჩში „ფრაიბურგი“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გოლცი, კრუპკე (ვილი, 89), კონდე, დიარა, ბერნერი, ბაირამოვიჩი, რიტერი, ცქიტიშვილი, კულიბალი, სანუ (მიულერი, 73), იაშვილი (გუი-მიენი, 87).

ამავე ტურში შედგა ცენტრალური შეხვედრა მიუნხენის „ბაიერნსა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ შორის. თამაში მიუნხენელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 4-1. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ბალაკმა, სანიოლმა, სალიჰამიჯიჩმა და პისარომ.

„ლევერკუზენმა“ საკუთარ მოედანზე აჯობა „შალკეს“ (3-1). სტუმართა გუნდის შემადგენლობაში 90 წუთი ითამაშა კობიაშვილმა, მაგრამ ვერაფრით უშველა საქმეს.

მორიგი გამარჯვება იზეიმა „შტუტგარტმა“, რომელმაც სტუმრად 2-0 სძლია „აინტრახტს“ და 30 ქულით კვლავ ინარჩუნებს ერთპიროვნულ ლიდერობას. 29 ქულით მეორე ადგილზეა „ლევერკუზენი“, ხოლო მესამე ადგილზე მყოფ ბრემენის „ვერდერს“ 28 ქულა აქვს.

„ფრაიბურგი“ 15 ქულით მეცხრე საფეხურზე იმყოფება, ხოლო „შალკე“ 14 ქულით — მეთერთმეტეზე.

ტურის სხვა შეხვედრები. „ჰამბურგი“ — „მიუნხენი“ — 3-1, „ბოხუმი“ — „კიოლნი“ — 4-0, „ჰერტა“ — „მიონხენგლადბახი“ — 2-1. „ჰანზა“ — „კაიზერსლაუტერნი“ — 4-0, „ჰანოვერი“ — „ვერდერი“ — 1-5.

იტალიის სერია „ა“-ს მეცხრე ტურში ფრედ (0-0) დასრულდა „პარმასა“ და „მილანის“ მატჩი. ამით ისარგებლა „იუვენტუსმა“, დაამარცხა რა საკუთარ მოედანზე „უდინეზე“ 4-1, 23 ქულით ერთპიროვნული ლიდერობა იგდო ხელთ. როგორც იქნა, მოიგო „ინტერმაც“, რომელმაც შინ სამი უპასუხო გოლი გაუტანა აუტსაიდერ „ანკონას“. რომში ტურის ცენტრალურ მატჩში, ადგილობრივმა „რომამ“ 2-0 სძლია „ლაციოს“, „რომას“ და „მილანს“ 21-21 ქულა აქვთ და შესაბამისად მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ.

ტურის სხვა მატჩები: „სამპდორია“ — „ემპოლი“ — 2-0, „ბრეშა“ — „ბოლონია“ — 0-0, „სიენა“ — „კიევო“ — 1-2, „რეჯინა“ — „მოდენა“ — 1-1, „პერუჯა“ — „ლეჩე“ — 2-2.

ინგლისის პრემიერლიგის მეთორმეტე ტურში „ჩელსიმ“ ბრწყინვალე ფეხბურთით მოხიბლა საზოგადოება. აბრამოვიჩის გუნდმა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ამასწინანდელ მატჩში სტუმრად 4-0 გაანადგურა „ლაციო“, ამჯერად ალან შირერი და მისი „ნიუკასლი“ გაასწორა მიწასთან — 5-0. გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინეს ჯონსონმა, კრესპომ, ლამპარდმა, დაფმა და გუდიონსენმა.

ლონდონის „არსენალი“. პირველი ტაიმის შემდეგ 0-1 აგებდა საკუთარ მოედანზე „ტოტენჰემთან“, მაგრამ მეორე ტაიმში არსენ ვენგერის შეგირდებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა — 69-ე წუთზე ჯერ პირესმა გაათანაბრა ანგარიში, ათ წუთში კი ლიუნგბერგმა გამარჯვების გოლი გაიტანა სტუმართა კარში — 2-1.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ სტუმრად ტურის ცენტრალური მატჩი მოუგო „ლივერპულს“. ანგარიში მეორე ტაიმის დასაწყისში გიგზმა გახსნა, მანვე 70-ე წუთზე მეორედ აიღო მეტოქის კარი. მასპინძლებმა მატჩის მიწურულს ერთი გოლის გატანა მოახერხეს, მაგრამ ქულა მაინც ვერ გადაარჩინეს — 1-2. გუნდების შემადგენლობა:

„ლივერპული“: დუდეკი, ფინენი, ბისკანი, ჰიიპია, ტრაორე, დიუფი (ლე ტალეკი, 70), მერფი, ჯერარდი, შმიცერი (სინამა-პონგოლე, 63), ჰესკი, კიუელი.

„მანჩესტერ იუნაიტედი“. ოვარდი, გ.ნევილი, ფერდინანდი, სილვესტერი, ო'ში, ფორჩუნი (ფლეტჩერი, 83), ფ. ნევილი, კინი, გიგზი, ვან ნისტელროი, ფორლანი.

სხვა მატჩები: „ჩარლტონი“ — „ფულემი“ — 3-1, „ბოლტონი“ — „საუთ ჰემპტონი“ — 0-0, „ასტონ ვილა“ — „მიდლსბრო“ — 0-2, „პორტსმუტი“ — „ლიდსი“ — 6-1, „ვულვერჰემპტონი“ — „ბირმინგემი“ — 1-1, „მანჩესტერ სიტი“ — „ლესტერი“ — 0-3.

სატურნირო ცხრილს 30 ქულით ლიდერობს „არსენალი“. 29 ქულით მეორე ადგილზეა „ჩელსი“, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედს“ 28 ქულა აქვს.

სენსაციური გამოდგა **ესპანეთის პრიმერადივიზიონის** მეთერთმეტე ტური. მადრიდის „რეალი“ სტუმრად 1-4 დამარცხდა „სევილიასთან“. არადა, „სამეფო კლუბი“ უძლიერესი შემადგენლობით ასპარეზობდა: კასილიასი, ივან ელგერა, პავონი, რუბელი (სოლარი, 27), რაული, ბრავო, გუტი, ზიდანი, ბექჰემი, ფიგუ, რაული, რონალდო.

ამ მატჩმა კიდევ ერთხელ ნათელჰყო, რომ მადრიდელებს საზაფხულო ტრანსფერების დროს რიგიანი მცველი უნდა ეყიდათ. მათ დაცვაში დღემდე ვერ აღმოფხვრეს ხარვეზები, აკი „სევილიასაგან“ ოთხი გოლიც მიიღეს.

საკუთარ მოედანზე დამარცხდა კიდევ ერთი ლიდერი „ვალენსია“, რომელმაც ვერაფერი გააწყო „რასინგთან“ — 1-2.

„სოსიედადთან“ პირველი ტაიმის შემდეგ აგებდა „დეპორტივოც“, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოახერხა გამარჯვების მოპოვება (2-1) და 25 ქულით კვლავ ერთპიროვნულად დაწინაურდა. 23-23 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ „ვალენსია“ და „რეალი“. თუმცა ამ უკანასკნელს ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

სხვა მატჩები: „ბილბაო“ — „ესპანიოლი“ — 1-0, „სარაგოსა“ — „სელტა“ — 1-1, „ალბასეტე“ — „მალაგა“ — 0-1, „ატლეტიკო“ — „ვილიარეალი“ — 1-0, „მალიორკა“ — „მურსია“, — 4-1, „ოსასუნა“ — „ვალიადოლიდი“ — 1-1, „ბარსელონა“ — „ბეტისი“ — 2-1.

შოტლანდიის პრემიერლიგის მორიგ ტურში შოთა არველაძის „რეინჯერსმა“ ბოლო წუთებზე გამოგლიჯა ხელიდან გამარჯვება სტუმრად „კილმარნოკს“ — 3-2. ამ წარმატებაში ლომის წილი მიუძღვის შოთა არველაძეს, რომელმაც ორი გოლი გაიტანა მეტოქის კარში.

სხვა მატჩები: „სელტიკი“ — „დანფერმლაინი“ — 5-0, „დანდი“ — „მოზერველი“ 0-1, „ჰიბერნიანი“ — „დანდი იუნ.“ — 2-2, „ლივინგსტონი“ — „პარტიკი“ — 2-0, „აბერდინი“ — „ჰარტსი“ — 0-1.

სატურნირო ცხრილში 34 ქულით ლიდერობს „სელტიკი“, რომელიც 5 ქულით უსწრებს „რეინჯერსს“.

ჰოლანდიის ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურში „აიაქსმა“ სტუმრად 4-1 მოუგო „დენ ჰააგს“, ხოლო „ფეიენოორდმა“ წარმატების შანსი არ დაუტოვა „ვოლენდამს“ — 3-1, მორიგი გამარჯვება იზეიმა „ალკმაარმა“, რომელმაც სტუმრად 2-1 დაამარცხა „ბრედა“. ახლა მეორე ადგილზე მყოფ „ალკმაარს“ 25 ქულა აქვს და 3 ქულით ჩამორჩება „აიაქსს“. ვერ მოიგო „ეინდჰოვენმა“, რომელმაც საკუთარ მოედანზე ფრედ (1-1) დაასრულა შეხვედრა „როზენდალთან“.

სხვა მატჩები: „ვიტესი“ — „ვილემი“ — 2-2, „როდა“ — „ტვენტე“ — 2-1, „ჰეერენვენი“ — „ცვოლე“ — 1-1, „უტრეხტი“ — „ვაალვაიკი“ — 1-0, „ნაიმეგენი“ — „გრონინგენი“ — 2-3.

საფრანგეთის ჩემპიონატის მეცამეტე ტურში „მონაკომ“ სტუმრად 1-0 სძლია „აიაჩოს“ და 30 ქულით კვლავ ინარჩუნებს პირველ ადგილს სატურნირო ცხრილში. მას 3 ქულით ჩამორჩება „ლიონი“, რომელმაც სტუმრად ტურის ცენტრალურ შეხვედრაში გაანადგურა „მარსელი“ — 4-1.

სხვა მატჩები: „ნიცა“ — „ბასტია“ — 2-0, „ლე მანი“ — „მეცი“ — 2-0, „ნანტი“ — „პსჟ“ — 0-1, „რენი“ — „ლილი“ — 2-2, „ოსერი“ — „გინგამი“ — 3-0, „ლანსი“ — „მონპელიე“ — 3-2, „სოშო“ — „ტულუზა“ — 3-1, „სტრასბური“ — „ბორდო“ — 1-1.

გაღატაკებულ „ლიდს იუნაიტედს“ მყიდველი გამოუჩნდა

ცნობილია, რომ მძიმე ეკონომიურ კრიზისს განიცდის ინგლისის ოდესღაც წამყვანი გუნდი „ლიდს“ იუნაიტედი“. უფულობის გამო კლუბის ხელმძღვანელობამ ამა წლის დასაწყისში ხომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გაყიდა. ამჟამად, გამოჩნდა კრიზისიდან გამოსვლის გზა, — „ლიდს იუნაიტედი“ მოლაპარაკებებს აწარმოებს არაბ მილიარდერთან შეიხ აბდულ დინ მურაბაკ ალ-ხალიფასთან, რომელიც მზად არის, გუნდის სასარგებლოდ გაიღოს ინვესტიცია 10 მილიონი ფუნტის ოდენობით. ამ თანხით „ლიდს იუნაიტედი“ რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელის ყიდვასა და ინგლისის პრემიერლიგის მეორე წრეში სიტუაციის გამოსწორებას აპირებს.

გლები „შტუტგარტის“ დატოვებას არ აპირებს

ინგლისის „ლივერპული“ დაინტერესდა გერმანული საფეხბურთო კლუბ „შტუტგარტის“ ბელარუსი ლეგიონერით ალექსანდრ გლებით, თუმცა „შტუტგარტის“ მთავარმა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა განაცხადა, რომ იგი არ აპირებს გუნდიდან გაუშვას ბელარუსი ფეხბურთელი, რომელთანაც კონტრაქტი აქვს დადებული 2006 წლამდე. გლებით ასევე დაინტერესებულნი არიან ლონდონის „არსენალი“ და მილანის „ინტერი“.

ოუენი ინგლისის ნაკრებს ვერ დაეხმარება



მაიკლ ოუენი ვერ მიიღებს მონაწილეობას ინგლისისა და დანიის ნაკრებთა ამხანაგურ მატჩში. ამის მიზეზია ტრავმა, რომელიც „ლივერპულის“ ფორვარდმა „არსენალთან“ მატჩში მიიღო. აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ ოუენმა უკვე გამოტოვა თამაშები უეფას თასზე, „სტიაუასთან“ და პრემიერლიგაში შეხვედრა „მანჩესტერ იუნაიტედთან“. ექიმების ცნობით, ოუენი მოედანს ორ კვირაში დაუბრუნდება.

ტრაპატონიმ კასანო და მარკიონი გამოიძახა

იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ დაასახელა თავისი გუნდის შემადგენლობა პოლონეთისა და რუმინეთის ნაკრებებთან ამხანაგური მატჩებისათვის. გამოძახებულთა შორის ორი ახალწვეულია — ანტონიო კასანო „რომადან“ და მარკო მარკიონი „პარმადან“. ტრაპატონისეული სია ასე გამოიყურება: ტოლდო, აბიატი, კანავარო, ფერარა, გროსო, მატერაცი, ნესტა, ოდო, პანკარო, გატუზო, მარკიონი, პეროტა, პირლო, ძანეტი, კასანო, დი ვაიო, კორადი, მიკოლი, ტოტი, ვიერი.

„რუსენბორგის“ „ოქროს დუბლი“

ნორვეგიის ჩემპიონმა „რუსენბორგმა“ ქვეყნის თასიც მოიგო. ფინალურ მატჩში ამ გუნდმა 3-1 დაამარცხა „ბოდო გლიმტი“. ორი გოლი იან-გუნარ სოლის ანგარიშზეა, საინტერესოა, რომ ორივეჯერ სოლმა დამატებით დროში გამოიჩინა თავი.

ბექჰემმა ახალი სახლი იყიდა...

დევიდ ბექჰემმა, როგორც იქნა დაასრულა ახალი საცხოვრებელი სახლის ძიება საკუთარი ოჯახისათვის. „რეალის“ ვარსკვლავმა არჩევანი შეაჩერა მადრიდის ცენტრიდან 20 კილომეტრით დაშორებულ ელიტარულ კვარტალ „ლასენინასში“ მდებარე სახლზე, რომლის ღირებულება 6,7 მილიონი ევროა. ბექჰემი ოჯახთან ერთად იცხოვრებს ესპანეთის მეფის ხუან კარლოსის პირადი რეზიდენციის მეზობლად. ფეხბურთელის ახალ საცხოვრებელს გააჩნია 7 საძინებელი ოთახი, 4 აბაზანა, აგრეთვე ჩოგბურთის კორტი და საცურაო აუზი.

ჰიტცფელდი: „ბაიერნი“ კრიზისიდან გამოდის



კვირას „დორტმუნდის“ განადგურების (4-1) შემდეგ მიუნხენის „ბაიერნის“ მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა განაცხადა, რომ თავისი გუნდის კრიზისი უკან დარჩა. „დარწმუნებული ვარ, რომ დორტმუნდელთა დამარცხება იყო „ბაიერნის“ კრიზისიდან გამოსვლის დასაწყისი. გუნდის ლიდერის როლი მიხაელ ბალაკმა ბრწყინვალედ შეასრულა. მან ითამაშა ისე, რომლის ხილვაც ყოველთვის მსურდა, მოხარული ვარ, რომ ჩემს გუნდში ისეთი ვარსკვლავი თამაშობს, როგორიც ბალაკია“, — თქვა ბოლოს ჰიტცფელდმა.

ნბა

აივერსონის თავგანწირვამ „ფილადელფიას" ვერ უშველა

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში ბრწყინვალედ ითამაშა „ფილადელფიის" ლიდერმა ალენ აივერსონმა, რომელმაც „ინდიანასთან" მატჩში თავის გუნდს 37 ქულა შესძინა. აღსანიშნავია რომ, ზუსტად ამდენივე ქულა მოაგროვეს „ფილადელფიის" დანარჩენმა მოთამაშეებმა ერთად. ეს კი საბოლოო გამარჯვებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა, გაიმარჯვა „ინდიანამ" — 85:74.

ნიკოლოზ ცქიტიშვილის „დენვერი" 76:89 დამარცხდა „ტორონტოსთან". სხვა მატჩები: „დეტროიტი" — „ნიუ-ჯერსი" — 98:84, „ბოსტონი" — „საკრამენტო" — 91:82, „სიეტლი" — „ატლანტა" — 81:91.

ეგვიპტელი მოჭადრაკეები მალარიამ იმსხვერპლა

ეგვიპტის ჩემპიონი ჭადრაკში, საერთაშორისო დიდოსტატი, 26 წლის ესამ ახმედ ალი და ქვეყნის საჭადრაკო ფედერაციის წევრი, ყოფილი მოჭადრაკე, 60 წლის მოჰამედ ლაბიბი მალარიით დაავადდნენ და გარდაიცვალნენ. საინფორმაციო საიტის „სპორტის" ცნობით ორივე მათგანი ამ სენით ნიგერიის ქალაქ აბუნში, საყოველთაო აფრიკული თამაშების დღეებში დაავადდნენ. ღონისძიების დამთავრების შემდეგ ორივე საბერძნეთში გაფრინდა საერთაშორისო ტურნირში საასპარეზოდ, მაგრამ ათენის აეროპორტში ცუდად შეიქნენ და ჰოსპიტალში მოათავსეს, სადაც ორი დღის შემდეგ გარდაიცვალნენ. ეგვიპტელებმა თავადაც ვერ გაიგეს, თუ რა ავადმყოფობით იყვნენ ისინი დაავადებულნი. ექიმების ცნობით, ორივე მალარიამ იმსხვერპლა.

შპიონაჟში ამხილეს

„ფორმულა-1"-ის სპეციალისტებმა შენიშნეს, რომ გუნდ „ტოიოტას" „ფერარის" მსგავსი ბოლიდები ჰყავდა წარმოდგენილი მსოფლიო ჩემპიონატზე. მალე ამას დიდი სკანდალი მოჰყვა. მსოფლიოს უძლიერესი გუნდის „ფერარის" ხელმძღვანელობამ შპიონაჟში დაადანაშაულა „ტოიოტა".

საქმეში სამართალდამცავები ჩაერივნენ. მათ გამოძიებით დამნაშავეც იპოვეს. როგორც აღმოჩნდა შპიონაჟს ეწეოდა „ტოიოტას" თანამშრომელი ანჟელი სანტინი, რომელიც ადრე „ფერარიში" მუშაობდა. გარდა ამისა, იგივე ბრალდებას უყენებენ აეროდინამიკის იტალიური ლაბორატორიის ორ მუშაკს — მაურიო იაკონისა და ანტონიო ტენტოროს. სანტინიმ თავი იმით იმართლა, რომ მან თავისი პირადი შეხედულებით შეიტანა კორექტივები „ტოიოტას" ბოლიდში, რის გამოც ის „დაემსგავსა" „ფერარის" მანქანას.

დღეს კასპაროვ-კომპიუტერის მატჩი იწყება

დღეს ნიუ-იორკში იწყება საინტერესო საჭადრაკო მატჩი ბარი კასპაროვსა და მსოფლიოში უძლიერეს საჭადრაკო კომპიუტერ „ფრიტც 8"-ს შორის. ვფიქრობთ, მკითხველებისათვის საინტერსო უნდა იყოს ინტერვიუ, რომელიც კასპაროვმა „სპორტის" ჟურნალისტს მისცა კომპიუტერთან მატჩამდე ერთი დღით ადრე.

— მეტოქე ახალი არ არის, — ამბობს გარი კასპაროვი, — განსხვავება ის არის, რომ ეს იქნება ჭადრაკის ვირტუალური თამაში სამგანზომილებიანი გამოსახულებით, რაც იმას ნიშნავს, რომ „ფრიტცს" ვეთამაშები სპეციალური სათვალით. არავითარი საჭადრაკო დაფა, თამაში ეკრანზე წარიმართება და მე ე.წ. ჯოისტიკით შემიძლია სხვადასხვა მხრიდან შევხედო დაფას, მაგრამ ფიგურების გადაადგილება ხმოვანი სიგნალით ხდება. ეს არის ადამიანის ტვინისა და ფსიქიკის უდიდესი გამოცდა.

● **პირველად გიხდებათ ასეთ უჩვეულო სიტუაციაში თამაში, თუ მოსამზადებელ ეტაპზე მსგავს კომპიუტერთან უკვე მოსინჯეთ ძალები?**

— რა თქმა უნდა, რამდენიმე პარტია ვითამაშე მსგავს სიტუაციაში, მხოლოდ ეს იყო ბლიცი. ცხადია, ბლიცსა და ჩვეულებრივი რეგლამენტით ჭადრაკის თამაშს შორის დიდი სხვაობაა.

● **„ფრიტც 8" ძლიერი მეტოქეა თქვენთვის?**

— ეს არის საბოლოო ვერსია იმ პროგრამისა, რომელსაც კრამნიკი შეხვდა ბაჰრეინში. „ფრიტც 8" უფრო სრულყოფილია. კრამნიკი თამაშობდა არა ვირტუალურ, არამედ ჩვეულებრივ დაფაზე, ხოლო სვლებს ხელით აკეთებდა, და არა ხმით. მისი მოწინააღმდეგე არასრულყოფილი იყო და ამიტომაც დასრულდა ის მატჩი ფრედ.

● **ე.ი. უძნელესი ბრძოლა გელით?**

— ასე გამოდის, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს იქნება „სუფთა", სამართლიანი ბრძოლა.

● **ექნება თუ არა მატჩის მიმდინარეობის ხილვის საშუალება ფართო აუდიტორიას?**

— რა თქმა უნდა, მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია გადაიცემა ტელეკომპანია „ეს-პე-ენის"-ის ეთერით. თითო პარტია 7 საათის განმავლობაში გაგრძელდება, შოუს წაიყვანენ ჟუჟა პოლგარი და იასერ სეირავანი.

● **ბოლოს და ბოლოს, საით მიდის ჭადრაკი?**

— (იცინის) ჭადრაკი „მეფეების თამაში" აღარ არის, რადგან ჩვენს დროში მეფეები აღარ არიან. ჭადრაკი მთელ მსოფლიოში ვითარდება კულტურასთან და მეცნიერებასთან ერთად. დღეს ჭადრაკი უკვე ახალ სიმაღლეზე დგას. რის დასტურიცაა ჩემი პაექრობა მსოფლიოში უძლიერეს საჭადრაკო კომპიუტერთან.

კინაღამ სული განუტევა...

ცნობილმა ამერიკელმა შოუ-ბიზნესმენმა შონ „პაფი" კომბემ, რომელსაც ბევრი პი დიდით იცნობს, მონაწილეობა მიიღო ნიუ-იორკის მარათონში და კინაღამ რბენისას დაასრულა სიცოცხლე. მისი მონაწილეობა საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა. კომბემ 42 კილომეტრიანი დისტანცია 11 საათში, 14 წუთსა და 54 წამში დაფარა. ის ფინიშთან 11 ათას 354-ე მიიჭრა და თავისივე მცველების ხელებზე მიესვენა გულწასული. მოსულიერების შემდეგ კომბემ განაცხადა, რომ ასე ახლოს სიკვდილთან არასოდეს ყოფილა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობდნენ კალათბურთის ლეგენდა მაიკლ ჯორდანი, მსახიობები ბრიუს უილისი, ჯენიფერ ლოპესი და შოუ-ბიზნესის სხვა წარმომადგენლები.

ნიკი ლაუდა: „ფორმულა 1"-ს მოტოსპორტი სჯობია

„ფორმულა-1"-ის ყოფილი პილოტი ნიკი ლაუდა იმყოფებოდა ვალენსიაში, სადაც უკვე მეორედ უცქირა მოტორბოლაში შეჯიბრებას, რომელსაც... 120 ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა. „ფორმულა-1"-ის მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა აღტაცება ვერ დამალა მოტომრბოლელ ვალენტინო როსის ტრიუმფის გამო.

ჟურნალისტებთან საუბარში ნიკი ლაუდამ ერთობ საინტერესო განცხადება გააკეთა: „ამ მომენტისათვის მოტორბოლებს უფრო მეტი მაყურებელი ჰყავს, ვიდრე „ფორმულა-1"-ს. ეს გასაკვირი არ არის, რადგან სპორტის ამ სახეობაში მსოფლიო ჩემპიონატი მეტად საინტერესო და მიმზიდველია. როსი ისეთივე ბრწყინვალეა მოტოსპორტში, როგორც მიხაელ შუმახერი „ფორმულა-1"-ში. განსხვავება ის არის, რომ ლიდერსა და უახლოეს მდევარს შორის სხვაობა მეტად მცირეა. მსიამოვნებს მოტორბოლების ცქერა, შეჯიბრების მონაწილეთა ტექნიკა".



ლაუდა დიდი ინტერესით ადევნებს თვალს მსოფლიო ჩემპიონატს მოტოსპორტში. თუკი შეჯიბრებას პირადად ვერ ესწრება, შინ ტელევიზორის ეკრანს არ სცილდება.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



11 ნოემბერი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. იბერია. ბურთი და მოედანი (10.00), ევრიკა. „სპორტის სამყარო" (21.40), **მე-9 არხი.** ევროპის სტადიონებზე (20.00), იმედი. „გოლი" (10.30). *НТВ плюс футбол.* უკრაინის ჩემპიონატი (14.00), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.45), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (16.55), ბრაზილიის ჩემპიონატი (17.50), „ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი" (19.30), „ცხრიანი" (20.30), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (21.10), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.10), „ფუტბოლ მუნდიალი" (23.05), „წარმოგიდგენთ უელსის ნაკრებს". ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: უელსი — იტალია (23.50), ნბა. მიმოხილვა და მატჩები (4.00, 4.30, 5.00, 8.00). *НТВ плюс спорт.* ჩოგბურთი. „მასტერს კუპ" (11.45, 23.00), ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება (15.00). საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები (18.15, 23.00), ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი (19.30), კალათბურთი. ევროლიგა „ხიმკი" — „გემოფარმი" (0.30), EUROSPORT. ჩოგბურთი „ეტა" (11.30, 15.30), ფეხბურთი: ევროგოლები (13.00), უეფა. კლასიკ (17.00, 22.00), კრივი. პროფესიონალები (2.45).

12 ნოემბერი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. ევრიკა. „სპორტის სამყარო" (21.40), **მე-9 არხი.** ევროპის სტადიონებზე (14.50, 20.00). *НТВ плюс футбол.* ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. „უელსი — იტალია (13.15), უელსი — ფინეთი (23.45), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (14.55), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.55), „ინგლისი კვირის ჰიტ-პარადი" (17.35, 21.45), „ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი" (19.30), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (1.45). ნბა. მიმოხილვა და მატჩები (4.00, 5.00, 6.00, 6.30, 9.00). *НТВ плюс спорт.* ჩოგბურთი. „მასტერს კუპ" (11.45, 23.00), ჭადრაკი. „ადამიანი კომპიუტერის წინააღმდეგ": გ. კასპაროვი — „დიპ ფრიცი" (15.00, 20.15), კალათბურთი. ევროლიგა (15.30), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (18.50) ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი (1.25, 5.00). EUROSPORT. ფეხბურთი. ევროგოლები (12.30), ჩოგბურთი. ჰიუსტონი. მასტერსის ტურნირი (14.30, 21.00, 23.00, 4.30), ფეხბურთი, უეფა (17.00), საცხენოსნო სპორტი. მსოფლიო თასი (0.45).

13 ნოემბერი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. ევრიკა. „სპორტის სამყარო" (19.30), **მე-9 არხი.** „ქართული ფეხბურთი" (20.00), იმედი. „ესტაფეტა" (21.30). *НТВ плюс футбол.* ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: უელსი — ფინეთი (13.15), უელსი — სერბია და ჩერნოგორია (23.35), „ინგლისი კვირის ჰიტ-პარადი" (15.00, 21.35), „ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი" (18.15), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (1.20), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (2.15), კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა და ჩემპიონატი (4.00, 6.00, 7.00, 9.30). *НТВ плюс спорт.* ჩოგბურთი. „მასტერს კუპ" (11.45, 23.30), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები (16.45, 18.15 — ფინალი). EUROSPORT. ჩოგბურთი. „მასტერს სერიეს" (14.30, 15.45, 21.00), ფეხბურთი. უეფას თასი (17.00), კრივი. პროფესიონალები (2.45).



კროსვორდი № 87

თარაზულად: 5. ჯარისკაცი საჭადრაკო დაფაზე, 7. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, 9. თანამედროვე სახელოვანი ქართველი ძიუდოისტი, 10. ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელი, 11. ვეტერანი რუსი მოჭადრაკე ქალი, 13. ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი, 16. ხარების ბრძოლა, 18. თურქეთის საფეხბურთო კლუბი, 19. უცხოელი საფეხბურთო მწვრთნელი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელობის კანდიდატი, 20. ოლიმპიური ჩემპიონი, ნიჩბოსანი, საქართველოდან, 24. ცნობილი ბიზნესმენი, „ჩელსის" მეპატრონე, 25. ესპანელი ვეტერანი ჩოგბურთელი.

შვეულად: 1. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი. 2. სამაგიდო თამაში, 3. გამოუვალი მდგომარეობა ჭადრაკის თამაშში, 4. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 6. სპორტული წყალსაცავი, 8. მსოფლიოს ჩემპიონი ქვეყანა ფეხბურთში, 12. წარსულში თბილისის საფეხბურთო კლუბი (აბრევიატურა), 14. გუნდისთავი, 15. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, 16. წარსულში ცნობილი ქართველი მოფარიკავე, 17. უმაღლესი მიღწევა სპორტში, 20. ცურვის ყაიდა, 21. თურქეთის საფეხბურთო კლუბი, 22. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 23. „ლივერპულის" მწვრთნელი.

შეადგინა ნოდარ ჯაჭვაძემ

№86 კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ედენი, 4. კლუბი, 8. ფრე, 9. „სამპდორია". 11. ისერი, 13. კუ, 15. „ულმი" 16. ეროსი, 17. ტლანქი, 18. „ასი", 22. ტიბეტი, 25 დოპინგი, 26. ლახტი, 27. „სევილია", 28. ფიფია.

შვეულად: 2. დარასელია, 3. ქოაო, 5. „ლიდსი", 6. ბურე, 7. ბაკურიანი, 10. „ირბი", 12. ფლანგი, 14. ჩორთი, 16. ეივე, 19. სკოპლე, 20. დიდი, 21. გუნდი, 22. ტაიჰი, 23. ტახტი, 24. ტირი.

საჭადრაკო ამოცანა

ბ. ტუკსენი



შამათი 2 სვლაში

№ 86-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლb8!
1. ..... მფe4 2. ლf4X,
1. ..... მფc4 (c5) 2. ლb4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com